

**იუველირი 080356  
პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა**

ქართულ კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში საიუველირო ნაკეთობას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. იუველირის პროფესია თანამედროვე ყოფაშიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს, რაც განპირობებულია ძველი ტრადიციების სინთეზით ახალ ტექნიკურ შესაძლებლობებთან. იუველირის სპეციალობა შეისწავლის ამ დარგის საბაზისო მასალას - ძვირფას და ფერად ლითონებს, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვების გამოყენებით, ტექნოლოგიურ მეთოდებსა და ტექნიკურ ხერხებს. სპეციალობის საბაზისო ტექნოლოგიებია: ფილიგრანი, მირჩილვა, სევადა, ჩამოსხმა.

**II. დასაქმების სფერო**

შეიძლება დასაქმდეს საიუველირო სახელოსნოებში, სამხატვრო სალონებში, ასევე თვითდასაქმების გზით.

**III. დამატებითი მოთხოვნები.**

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი.

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

იუველირის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი –III საფეხური; პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა დიპლომი.

იუველირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მ ი ნ ი მ უ მ 35 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

იუველირის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი.

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.	იცნობს საიუველირო ნაწარმის წარმოების ძირითად ტექნოლოგიურ პროცესებს, აცნობიერებს ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის ძირითად ეტაპებს. კარგად იცნობს ინსტრუმენტებსა და ნახევარფაბრიკატებს, მასალაში მუშაობის წესებს. იცის ისეთი ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა, როგორცაა: ლითონის გრავირება, გრეხილის ფილიგრანისათვის მომზადება და ფილიგრანი, გრეხილებისა და ტიხრების მირჩილვა, სევადა, ჩამოსხმა.
ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართოსპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები.	შეუძლია თეორიული ცოდნისა და გამოქმენილი პრაქტიკული უნარების დახმარებით შეაფასოს შესასრულებელი დავალების სირთულე, შეარჩიოს სათანადო ტექნოლოგია და პროცედურა; შეუძლია გამოიყენოს ისეთი ტექნიკური მეთოდები, როგორცაა ლითონის გრავირებით დამუშავება, გრეხილის მიმარგება - მირჩილვა, სევადა, ფილიგრანი, ასევე, დასრულებული ნაწარმის გასუფთავების, გაპრიალების, მოვერცხლვის, მოოქროვების და გარეცხვის პროცედურები.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსაზღვრულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია საიუველირო ნაწარმის დამზადების პროცესში წამოჭრილი ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენოს სპეციალური ლიტერატურიდან მოპოვებული ინფორმაცია, გააანალიზოს პრობლემის სირთულე და გააკეთოს მართებული დასკვნა შესაფერისი ტექნიკური მეთოდის არჩევის შესახებ.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე განსაზღვრულ სიტუაციებში, ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შეუძლია უცხოენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პროფესიული ინფორმაციისა და ვიზუალური მასალის მიზანდასახულად მოპოვება/დამუშავება. აქტიურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული წინსვლისათვის, იცნობს და იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას და პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე;
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების სფეროში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია წინასწარ დასახული ამოცანების (მაგ., ლითონის ზედაპირის დამუშავება გრავირებით, ფილიგრანისათვის გრეხილების და ტიხრის დამზადება, მირჩილვა, გასუფთავება, მოვერცხლვა-მოოქროვება, გარეცხვა და სხვ.) ფარგლებში განსაზღვროს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, გაიღრმავოს ცოდნა და გამოიმუშავოს ტექნიკური უნარები პრაქტიკული სამუშაოების განხორციელების მეშვეობით.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები, პასუხისმგებლობით ეკიდება მაღალი მატერიალური ღირებულების მქონე მასალით მუშაობას. იცავს მუშაობის უსაფრთხოების წესებს. ასევე იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და მუშაობის უსაფრთხოების წესებს. აქვს

		<p>პასუხისმგებლობის გრძობა სამუშაო პროცესისადმი. აცნობიერებს ტრადიციული პროფესიული მეთოდების შენარჩუნებისა და ახალი ინოვაციური ხერხების სინთეზის მნიშვნელობას.</p>
--	--	--